რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალ. თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | — — 9 მან. | 6 თვით | — — 5 მან. |
| 11 თვით | — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | — — 8 მან. | 4 თვით | — — 4 მან. |
| 9 თვით | — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | — — 3 მან. |
| 8 თვით | — — 7 მან. | 2 თვით | — — 2 მან. |
| 7 თვით | — — 6 მან. | 1 თვით | — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 27 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

I

პირველად

## მამის წყევლა

დრამა 1 მოქმედ., თხზ. ვერნერისა, ფრანცუზულიდამ გადმოთარგმნილი.

II

პირველად

## ელისო

დრამატიული ეტიუდი ორს სურათად გადმოკეთებული ბ. მოჩხუბარიძის მოთხრობიდან ავტორის მიერ.

## დივერტისმენტი

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ. (3—1)

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

24 ნოემბერს.

ლონდონი. ფრანცუზებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქებს: მოგამბოის და ტანერაფას, რომელნიც მადაგასკარის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კიდეზე მდებარებენ, და ამასთანავე გაგზავნეს ორი ფრეგატი, რათა ფორტს დოფინს და სხვა სამხრეთისკენ მდებარე ადგილებს ყუმბარები დაუშინონ.

სიდნეი. ავსტრიის კოლონიათა დელეგატების კონფერენციამ ერთხმად გადასწყვიტა—ახალი გვინეია ავსტრალიას შეუერთდეს.

პეტერბურგი. «ნოვოე ვრემიას» გაუგონია, რომ ხვალ უკანასკნელი სხდომა ექნება კახანოვის კომისიას, და შემდეგ დაიწყება ბეჭვდა მისი პროექტებისა «მმართებლობის მოამბეში»; მომავალ წელიწადში დაიბეჭდება კრება შენიშვნათა ამ პროექტების შესახებ, მოიწვევენ მცოდნე პირთა და კომისიაც დაიხურება.

გონკონი. კანტონში მოვიდა ჩინეთის გენერალი პონგი, ამაგრებს ქალაქს ხმელეთით და ზღვით და აცნობა სხვა სახელმწიფოებს, რომ, თუ ჩინეთსა და საფრანგეთს შუა ომი მოხდა, მაშინ მათ ზარალი უნდა მოსთხოვონ საფრანგეთის მმართებლობას.

## აწინდელი ომი ძველებურს წესზედ

თბილისი, 25 ნოემბერი.

ომობენ თუ არა ფრანცუზები ჩინელებთან?

თუმცა ეს კითხვა ამ საუკუნეში, როდესაც ტელეგრაფის მავთული მთელ დედა-მიწის ზურგზედ არის გაყვანილი, უადგილოდ უნდა გვეჩვენოს, მაგრამ მაინც ამ კითხვის მომცემს ვერ ვუსაყვედურებთ, თავს ნუ შეგვაწყენ, გაზეთებში ჩაიხედე და იქიდამ გაიგებო. ათასი გაზეთი რომ გეწყოთ გარშემო, ნამდვილს პასუხს ვერ იპოვით. ერთნი ამბობენ, რომ ჩინეთის ელჩი მარკიზი ძენგი თავისუფლად დასეირნობს ინგლისში და საფრანგეთში და ყველგან ამბობს, ჩინეთს ომი არა სურს, მაგრამ, თუ საქმე გაუჭირდეს, არც ომს მოერიდებაო. ამას ამბობს იგი თვით პარიჟშივე, საფრანგეთის დედა-ქალაქში, და ამ დროს ტელეგრაფს მოაქვს ცნობა ფრანცუზები ამა-და-ამ ტონკინის ქალაქს დაეცნენ და ჩინელებთან შეტაკება მოუხდათ, ორასი ჩინელი დახოცესო!

მოგეხსენებათ,—ეხლანდელი წესი ის არის, რომ მეომარ სახელმწიფოთ,

«დროების» ფელეტონი, 26 ნოემბ.

## ერთი წვეთი სისხლი

(მოთხრობა)

(ფრანცუზულიდამ)

თვის დამლევს ქ. მოუთმენელად მოელოდა ერთი პირის გამოცხადებას. თვემ გაიარა და ის პირი არ გამოცხადდა.

გაიარა კიდევ რამდენიმე თვემ, ბოლოს ექიმმა მიიღო წერილი სოფლიდამ, სადაც ავად-მყოფი სცხოვრებდა. წერილზე ხელი არ ეწერა; ექიმმა შენიშნა, რომ წერილი იმ ავად-მყოფისაგან იყო დაწერილი, რომელსაც იგი სწამლობდა, და გაიფიქრა, რომ იმ ავად-მყოფს ტკივილები აღარ აშლია, თორემ კალმის დაჭერას დაუშლიდაო.

წიგნის შინაარსი შემდეგი იყო:

«ძვირფასო ექიმო! მე არ მინდა, რომ თქვენა და სამკურნალო მეცნიერებს ეჭვი გქონდეთ შესახებ ჩემის ავად-მყოფობისა, რომელსაც საფლავში ჩავყევარ.

«ამ ერთი კვირის წინად ტკივილები გამიახლდა და მე აღარა მსურს ვებრძოლო ჩემს ტანჯვას. ეხლა გწერთ წერილს, რისათვისაც ხელზედ აბედი დავიდე. როდესაც აბედს უკიდია ტკივილს აღარა ვგრძნობ. ეხლანდელი ტკივილი წინანდელ ტკივილთან შედარებით არაფერია.

ამ ექვსი თვის წინად მე ბედნიერი კაცი ვიყავ. უდარდელად ვცხოვრობდი ჩემის მამულის შემოსავლით, ყველასთან კეთილი განწყობილება მქონდა და ვსიამოვნებდი ყოველის ფრით, რითაც კი შეუძლიან ისიამოვნოს ოც-და-ხუთმეტის წლის კაცმა. ამ ერთის წლის წინად ცოლი სიყვარულით შევირთე... მე შევირთე ლამაზი, განათლებული, კეთილის გულის ქალი, რომელიც ჩემს მეზობელ გრაფინიასთან გუვერნანტკად იყო. მან შემიყვარა წრფელის ყმაწვილურის სიყვარულით. ექვსი თვე ისე ბედნიერად გავატარე, რომ ახალი დღე წინანდელზედ უფრო ბედნიერად მეჩვენებოდა. როდესაც ერთის დღით პეშტში მივდიოდი, ჩემს ცოლს ერთის წამის მოსვენება არა ჰქონდა. იგი გზაზედ მომეგებებოდა ხოლმე. როდესაც დავიგვიანებდი, მთელ ღამეს აღარ ეძინა, მე მელოდა; თუ როგორმე დავითანხმებდი წასულიყო თავის ძველს ნაცნობ გრაფინასთან, იგი იქ ექვსი საათის მეტს არა რჩებოდა. ჩემზედ სწუხდა ხოლმე და სხვებსაც აწუხებდა. ისე ძალიან უყვარდი, რომ უარი სთქვა ტანცაობაზედ, რაკი არ უნდოდა სხვისთვის მიეცა თავის ხელი, და ისე არა აჯავრებდა-რა, როგორც ის, როდესაც ალერსიან სიტყვებს ვინმე ეტყოდა. ერთის სიტყვით, ჩემი ცოლი გულ-წრფელი ბავშვი იყო, მხოლოდ ჩემზედ ჰფიქრობდა და დიდ ცოდოდ მიაჩნდა, როდესაც სიზმარს ნახავდა და იმ სიზმარში მე არ ვერივე.

არ ვიცი, ერთხელ რა ეშმაკმა წამჩურჩულა ყურში: მერე რა იქნება, რომ ყოველივე ეს თვალთ-მაქცობა იყოს? კაცი იმდენად უტკუოა, რომ ბედნიერებაშიაც კი უნდა რაიმე სატანჯველი გაიჩინოს.

ჩემს ცოლს საკუთარი სტოლი ჰქონდა, რომელსაც ყოველთვის გასაღებით ჰკეტავდა. მე ეს ბევრჯელ შემინიშნავს. მას არას დროს არ ავიწყდებოდა სტოლში გასაღები და არც დაუკეტავს უშვებდა.

მე ძალიან მინდოდა გამეგო, თუ რასა მალავდა იგი სტოლში... მოთმინება დავკარგე. აღარ ვუჯერებდი იმის გულ-წრფელობას, იმის ალერსს, იმის კოცნას. მერე რა იქნება, რომ ყოველივე იმის ალერსი თვალთ-მაქცობა იყოს?

ერთხელ დილით, გრაფინა მოვიდა ჩემს ცოლთან და ბევრი ხვეწნის შემდეგ ძლივს დაიყოლია წაჰყოლოდა და მთელი დღე მასთან გაეტარებინა.

ჩვენი მამულები ერთმანეთზედ ახლო იყვნენ და მე ვუთქვი ჩემს ცოლს, რომ თვითონ მოვალ და წამოგიყვან მეთქი.

როგორც კი კარეტა წავიდა, მაშინვე მოვაგროვე რაც სახლში გასაღებები იყო და ვსინჯავდი, რომელი გამოადგებოდა ჩემი ცოლის სტოლს; ერთი გასაღები გამოადგა... მე ვგავნდი იმისთანა კაცს, რომელიც პირველად ჩადის დანაშაულს. მე ვხდებოდი ჩემი ცოლის საიდუმლოების წარმტაცებელი. ხელები ამიკანკალდენ, როდესაც სტოლიდამ დავუწყე ნივთებს ამოლაგება, და თანაც მეშინოდა არ გაეგო, რომ იმის ნივთებში გარეშე კაცს ურევია ხელი. ბული მომეჭმუხვნა, სუნთქვა შემეკრა... უეცრად არშიების ქვეშ ერთი გროვა წერილები ვიპოვე, თავში და გულში

დაწყებამდის, ერთმანეთს ომი უნდა გამოუცხადონ და თავ-თავიანთი ელჩები შინ მიიხმონ; მაგრამ ჩინელებს დაუნებებიათ თავი ამ გვარ ცერემონიებისათვის და პირ-და-პირ დასცემიან თავს ფრანცუზების გარნიზონს, ფრანცუზებსაც არ მიუხედნიათ იმისათვის, რომ მარკიზი ძენგი ჯერ კიდევ პარიჟში ბძანდება, და ორასი ჩინელი ერთი ერთმანეთზე დაუწყვიათ.

ერთის სიტყვით, თუ ომის წესს მივხედავთ, ომი ჯერ არ არის დაწყებული, მაგრამ ფაქტები კი ნამდვილად გვიმტკიცებენ, რომ, თუ დიპლომატიური ნოტებით არა, ფრანცუზებსა და ჩინელებს ერთმანეთისათვის თოფ-იარაღით მაინც უწყალო ომი გამოუცხადებიათ.

ეს ამბავი ძალიან სასიამოვნოდ უნდა დაურჩეს თავადს ბისმარკს, რომლის წადილი ყოველთვის ის იყო, რომ საფრანგეთი რაიმე ხათაბალაში გაება, მისი ძალა შეემცირებინა და გერმანიის წინაშე მიმართული შურის-ძიება სხვა უცხო ხალხის სისხლის-ღვრით დაეშოშმინებინა. თითონ საფრანგეთის მმართველნიცა ჰგრძნობენ, რომ ჩინეთისკენ წასვლა და მადაგასკარის პორტებისკენ სამხედრო ხომალდების გზავნა მაშინ, როდესაც აქეთ-იქით მეზობლებმა იმის წინ კავშირი შეჰკრეს,—მოუაზრებლობას უნდა დაბრალდეს, მაგრამ დიპლომატიამაც შეტყუება იცის და, რაკი ერთხელვე თავიანთი აზრი წარმოსთქვეს, აღარ უნდათ ჩინელებს ათქმევინონ—ჩვენ ჩვენი გავიტანეთ და ფრანცუზებს თავიანთი აზრი გადავათქმევინეთო.

დღევანდელი ტელეგრამებიდამ მკითხველი დაინახავს, რომ ჩინელები აღარა ხუმრობენ და თავიანთ ქალაქების გამაგრებასაც შესდგომიან. ამას გარდა, სხვა უცხო-ქვეყნელებისათვისაც გამოუცხადებიათ, თუ ფრანცუზებთან ომი მოგვიხდა, ზარალის ზღვევა საფრანგეთის მთავრობას მოსთხოვეთო.

როგორც ეტყობა, თუ ნამდვილი ომი ასტყდა, ფრანცუზებს გარდა, დიდი ზიანი მოელით სხვა ევროპიელებსაც, რომელნიც კი ჩინეთში სცხოვრობენ. ეჭვი არ არის, ბოლოს გამარჯვება მაინც საფრანგეთს დარჩება, მაგრამ რას მოიგებს იგი ამ გამარჯვებით, და როგორ შესძლებს თავის აუარებელ ზარალის აყენებას?

## შინაური ქრონიკა

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში ორი წერილი იყო დაბეჭდილი მხატვრების უსტაბაშის ბ. მაისურაძისა. ამ წერილებში ბ. მაისურაძე სახელოსნო გამგეობას უყურადღებობას უსაყვედურებდა და თავის მოძმე უსტაბაშებს იწვევდა რევიზიის მოსახდენად. მათში არა იყო-რა იმისთანა, რომ ხელოსნების თავს, ბ. ნაუმენკოს, შეურაცხებად მიეღო. გაზეთის საშუალებით რომ ხალხმა თავისაგან ამორჩეულ პირს რაიმე უსაყვედუროს და მოსთხოვოს უფრო მეტი ზრუნვა და ყურადღება გმართებს ჩვენზედაო, ეს არც ერთს პატიოსანს პირს შურის-ძიების სურვილს არ აღუძრავს და, თუ მართლა ხალხისათვის გულისტკივილი ამოქმედებს, ეცდება ნაკლულევანება თავიდამ აიცილოს. მაგრამ, როგორც ეტყობა, ბ. ნაუმენკო და მისი ფესიანი მწერალი ასე არა სჯიან. ბ. მაისურაძის შენიშვნებს მათთვის სიცხე დაუყენებია და, თითონ გაზეთს რომ ვერა დააკლეს-რა, წერილების ავტორის საზღვევლად მოუმართავთ თავიანთ მახვილ-გონიერება. ჯერ 19 ნოემბერს მხატვრების ამქარი მიუწვევიათ და მოუნდომნიათ, რომ ბ. მაისურაძე გამოეცვლევინებინათ, მაგრამ ამქარს ერთპირად უარი გამოუცხადებია; მერე ბ. ნაუმენკოს უთქვამს, ანგარიში მოსთხოვეთ თქვენს უსტაბაშსაო და ამაზედ ამქარს უპასუხნია: ჩვენ დეპუტატები გვყავს და ისინი მოსთხოვენ, როცა დრო იქნებაო. მასუკან უსტაბაშები მოუგროვებია, მაისურაძისთვის სხდომაზედ დასწრების ნება არ მიუცია და ჩაუგონებია უსტაბაშებისათვის—მაისურაძემ თქვენ შეურაცხება(!) მოგაყენათ და უსტაბაშად აღარ უნდა იყოსო; შეუდგენიებია პროტოკოლი და ხელი მოუწერინებია.

ჩვენ ასე გვგონია, რომ უსტაბაშებს არც კი წაუკითხავთ, როგორი «შეურაცხება» მიაყენა მათ გაზეთმა და ბ. ნაუმენკოს ლიტონის სიტყვისათვის დაუჯერებიათ, თორემ ასე თვალ-ახვეულნი არ გაიყოლიდენ ბ. ნაუმენკოს და მის დამქაშის, ფესიანის მწერლის, სიტყვაზედ.

მიცვალებულის ასაბიათი და ზარით ტირილი, ქორწილებში უზომოდ სმა და ხმალ-ხანჯლის ტრიალი, კაცების დაჭრა და ხანდისხან შემოკვდომაც ჩვეულებრივი მოვლენაა დასავლეთის საქართველოში. ამ მოვლენას ზოგან იმდენი უსიამოვნობა და ხარჯი მოსდევს, რომ კერძო პირებსაც კი განუზრახავთ მისი მოსპობა ერთმანერთში პირობის დადებით. ჩვენ მოგვივიდა ერთი პირობის ქაღალდი, რომელიც ოთხს მეტ ჩოხალაძეებს ერთმანერთ შორის შეუკრავთ და რომლის გამოცხადებასაც გვთხოვენ იმ აზრით, ეგება ჩვენი მიმბაძავნი სხვაგანაც გამოჩნდენო.

აი ამ პირობის მუხლები:

«1) აღარსად ნათესაობაში არ უნდა წავიყვანოთ ასაბია და აღარც მოზარე, როგორც ჩვენა, აგრეთვე ჩვენმა ნათესაობამაც აღარც უნდა მოიყვანოს ჩვენთან.

«2) მალდებული ვართ მიცვალებულის დასაფლავებაზე დაპატიჟებით მივიდეთ ყველასთან და დავესწროთ, გადასახურავიც მივიტანოთ, აგრეთვე ვისთანაც რიგია, ხორაგიცა; როგორც ჩვენ სხვასთან, აგრეთვე სხვებმა ჩვენთან.

«3) ჩვენს სახლებში აღარ უნდა გადვიხადოთ ქელეხები, არც შვიდზე, არც თხუთმეტზე, არც ორმოცზე და არც წლის თავზე.

«4) მიცვალებულის სულის შესანდობლად ისე უნდა გავისარჯოთ, როგორც სასულიერო კანონი გვაჩვენებს.

«5) ყოველს ჩვენს ნათესავებს, მეგობრებს და მეზობლებს უმორჩილესად ვსთხოვთ, აღარ დაგვპატიჟონ: არც ასაბიად წასაყოლად, არც მოზარედ წასაყოლად, რომლისათვისაც დიდს უარს გამოვუცხადებთ.

«6) აგრეთვე ყველას ვუცხადებთ, თუ ქორწილებზე ვისმესთვის მაყრად საჭირო ვიქნებით და გვთხოვენ, შეიძლება პატივი ვსცეთ და ვიახლნეთ, მაგრამ უკეთუ მაყარი ხუთს კაცს აღემატება, მაშინ კი ჩვენგნით წასვლა არას გზით არ შეიძლება.

---

თითქოს ელექტრონულმა ნაპერწკალმა გამჩხვლიტა... ოხ, ეს ისეთი წერილები იყვნენ, რომელთ შინაარსს ერთის შეხედვით გაიგებდი!

ეს საარშიყო წერილები იყვნენ... ვარდის ფერი ლენტით შეკრულები.

როდესაც ლენტს ხელი შევახე, თავში ამ აზრმა გამიელვა: ამას კარგსა ვშვრები? რა პატიოსანი კაცის საქმეა თავის ცოლის საიდუმლოება დაარღვიოს?.. საიდუმლოება, რომელიც იმ დროს ეკუთვნოდა, როდესაც იგი ჯერ ისევ ცქრიალა ყმაწვილი ქალი იყო. განა ნება მაქვს მოვთხოვო ანგარიში იმ აზრებისა, რომელნიც მას გათხოვებამდის ჰქონდა? განა შემიძლიან ეჭვი შევიტანო მასში იმ დროს, როდესაც ის მე ჯერ არ მიცნობდა? ვინ შეიტანს მასში ეჭვს? ვინა?.. მე!.. ეშმაკმა კიდევ მიჩურჩულა: მერე ეგ წერილები რომ იმ დროს ეკუთვნოდენ, როდესაც შენ უფლება გქონდა იმის ფიქრებზედ, როდესაც იგი შენი იყო? მე გავხსენ ლენტი. ჩემს ახლოს სარკეც არ იყო, რომ ჩამეხედნა და ჩემი თავისა მევე შემრცხვენოდა. ჯერ ერთი წერილი გავხსენ, მერე მეორე და თავით ბოლომდის წავიკითხე...

ოხ, საშინელი დრო იყო ის დრო!..

რა ეწერა წერილებში? უსირცხვილო ღალატი! წერილების მომწერი ერთი ჩემი ახლო მეგობართაგანი იყო! რა კილოთი და რა მხურვალედ სწერდა! რა ნაირ თანაგრძნობას უცხადებდა! რა ნაირ დარიგებას აძლევდა, თუ როგორ მოეტყუებინა თავის ქმარი!.. ყველა ის წერილები იმ დროის იყვნენ, როდესაც მე ჯვარდაწერილი და ბედნიერი ვიყავ! საჭიროა ვითხრა, მაშინ რასა ვგრძნობდი?.. წარმოიდგინეთ მომაკვდინებელი შხამით დამთვრალი კაცი! ხარბად ვკითხულობდი წერილებს. ყველა წერილები წავიკითხე. შემდეგ ის წერილები ისევ ლენტით შევკარ, არშიების ქვეშ ამოვდე და დავკეტე სტოლი.

მე ვიცოდი, რომ ჩემი ცოლი საღამომდის არ მოიცდიდა და ჩემს მიუსვლელად უკან დაბრუნდებოდა. ასეც მოხდა. იგი საჩქაროდ გადმოხტა კალიასკიდამ, ამოვარდა ბალკონზედ და კისერზედ მომეხვია. მე ვცდილობდი არაფერი შემეტყობოდა. ჩვენ ვიმუსაიფეთ, ვახშამი ერთათა ვჭამეთ და მერე ჩვენ ჩვენს ოთახში წავედით. მე თვალი არ მომიხუჭნია. საათების მიმდინარეობას ვსთვლიდი. როდესაც პირველი საათის თხუთმეტი წამი იყო, ავდექი და ჩემი ცოლის საწოლში შევედი. მისი მშვენიერი თავი თეთრს ბალიშებზედ იდო. ასე ხატავენ ანგელოზებს თეთრი ღრუბლებით შემოსილებს. რა საშინელებაა, როდესაც ამისთანა წრფელს სახეში დანაშაულს ხედავ!.. მე გადავწყვიტე...

ყელზედ მარჯვენა ხელი ფრთხილად დავადე და საჩქაროდ წავუჭირე. მან ერთს წამს გაახილა დიდრონი თვალები, გაკვირვებით შემომხედა, კვალად დახუჭა და... მოკვდა. იგი ისე მოკვდა, რომ არ შემბრძოლებია, თითქოს დაიძინა. იგი ჩემზედ არას დროს არა ჯავრობდა, ასე გაშინჯე მაშინაც, როდესაც მე ის მოვკალი. მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი გადმოუვიდა პირიდამ და ხელზედ დამეცა. თქვენ იცით—სადა... მე მხოლოდ მეორე დღეს შევნიშნე ეს სისხლი, როდესაც გამხმარიყო. ჩემი ცოლი დავმარხეთ, მის სიკვდილში ეჭვი არავის შემოუტანია. მე განმარტოებული ვცხოვრობდი; ვინ გაიგებდა ჩემს დანაშაულს? მას არც დედ-მამა ჰყავდა, არც მფარველები, რომელთაც შესძლებოდათ მისი სიკვდილის მიზეზის გამოკითხვა; მისი სიკვდილი განგებ გვიან შევატყობინე ჩემს ნაცნობებს, რომ დროზედ არ მოსულიყვნენ.

როდესაც სასაფლაოდამ დავბრუნდი, სინიდისი არა მტანჯავდა. მე სასტიკად მოვექეცი, იგი ამის ღირსი იყო. მე იგი არა მძულდა. მე იშვიათად ვფიქრობდი მასზედ, რომ მალე დამვიწყებოდა. არას დროს კაცს არ ჩაუდენია დანაშაული, რომლისთვისაც ბოლოს ასე ცოტა ენანოს, როგორც მე.

როდესაც დავბრუნდი, გრაფინია სახლში დამხვდა. მე ისე კარგად მოვახერხე, რომ იმანაც დაიგვიანა დამარხვის დროს მოსვლა. როდესაც დამინახა, ძალიან აღელდა. არ ვიცი სიბრალულით მოუვიდა, თუ თანაგრძნობით,—ისე აურია ლაპარაკი, რომ ვერაფერი გავიგე იმისი სანუგეშო სიტყვებისა.

და განა მე იმას ყურს ვუგდებდი? ან ნუგეშის ცემა მეჭირვებოდა? მე სრულიადაც არ ვიყავ მწუხარე. ბოლოს ხელები დამიჭირა და ჩუმად მითხრა, რომ მე შენ ერთს საიდუმლოებას განდობ და იმედი მაქვს, არ გამცემო. იმას მიაბარებინა ჩემი ცოლისათვის წერილები, რომელთაც იგი

«7) არც ჩვენს თავსა და არც ჩვენს სახლში მყოფ სტუმრებს არას დროს ნება არ მივსცეთ დათრობისა, რადგანაც სიმთვრალისაგან მომდინარეობს ერთმანერთის ჭრა, ლანძღვა და სიმძულვარე. Აგრეთვე მოვსპეთ უანგარიშოდ მოიმეტებული ხარჯები.

«8) Აღარც ის დღეები უნდა ვიუქმოთ, რომელიც სასულიერო კანონში არ გვიწერია, ესე იგი: ძოხის-ჯვრობა, მლვის-ჯვრობა, მარეშლობა, გოჭის ხუთშაბათი, თავგ-მარიობა და ყვავ-მარიობა და აგრეთვე სხვანიც ამ გვარნი.»

Ამ უცნაურ პირობის წერილს აშკარად ეტყობა, თუ მართლა როგორ შეუწუხებია Დასავლეთ Საქართველოს მცხოვრებნი სხვა-და-სხვა უადგილო ხარჯებს, ასე რომ ზოგიერთ სასაცილო მუხლებსაც კი არ მორიდებიან და პირობის თავში ჩაუწერიათ; ვინც კი ამ მუხლებს დაარღვევს, სხვა ძმების სასარგებლოდ ორასი მანეთი ჯარიმა გადაიხადოსო. Წარმოიდგინეთ, როგორი კონტროლი დასჭირდებათ ძმებს ამ მუხლის შესასრულებლად: «არც ჩვენს თავსა და არც ჩვენს სახლში მყოფ სტუმრებს არას დროს ნება არ მივსცეთ დათრობისა», ან კიდევ, რომელ მეცნიერს დანიშნავენ ექსპერტად იმის შესატყობლად, თუ ბ. კლეოპა ნიკოლოზის-ძე, ან ბენედიკტე ნიკოლოზის-ძე ჩინჩოლაძე ღვინო-ნასვამია, შეზარხოშებულია, თუ დამთვრალია, ან რომელი სტაქნის შემდეგ უნდა გადაუხადოს სხვა ძმებს დანიშნული ჯარიმა.

Ფასანაურიდამ გვწერენ: ჩვენი პატარა დაბა თითქმის სულ მოვაჭრეებით არის დასახლებული, რომელნიც ისე იქცევიან აქ, როგორც თავიანთ ანგარიში ჩააგონებსო. Ჯერ ერთი რომ, ორიოდ ვაჭარს თუ აქვს სპილენძის საწყაო, თორემ სხვები თიხის საწყაოებითა ჰყიდიან სასმელებს და გაყიდვის დროს სხვა ჭურჭელს ახმარებენ, ყიდვის დროს სხვასა, ასე რომ თითო თუნგში ბოთლს, ან ნახევარ ბოთლს უეჭველად გამორჩებიანო. Ტაქსასაც, როგორსაც უნდათ, იმისთანას შეადგენენო. Მე ერთ გირვანქა ხახვში ორი შაური მიშიცია Ფასანაურში, როდესაც Თბილისში და Დუშეთში ფუთი 25—30 კაპეიკად არისო.

Იქიდამვე იწერებიან, რომ იქ Თბილისიდამ გადაყვანილი მღვდელი ვ. ლ—ავა, როცა დღეობებში გაერთვის, თავის მოვალეობა ავიწყდება, ისე რომ ხანდისხან მიცვალებულის დასამარხავათაც კი არ მიდისო.

Გაზ. «Კავკაზი» გვაუწყებს, რომ იმ კომისიას, რომელსაც რწყვის საქმე აქვს მინდობილი ჩვენში, სამი სუბკომისია შეუდგენია: პირველს მათგანს უკისრია საზოგადო განხილვა ამ საგნისა და იმის დამყარება, თუ რა უფლება აქვს ხალხს წყალზედ; მეორემ უნდა განიხილოს, თუ როგორი ადმინისტრაცია უნდა განაგებდეს რწყვის საქმეს. Მესამე კომისიასა აქვს მინდობილი, როგორი სამართალი უნდა დაწესდეს და როგორ უნდა გადახდეს იმ პირთა, რომელნიც კი რწყვის წესებს დაარღვევენ. Ხსენებული სუბკომისიები თურმე ათავებენ კიდევაც თავიანთ საქმეს, შემდეგ გადასცემენ კომისიას, რომელიც თავის დასკვნას მთავარ-მმართებლის რჩევას წარუდგენს.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

Ბატონო რედაქტორო!

Ბევრს გაჭირვებულ ადამიანს მისცემია საშუალება თქვენის პატივცემული გაზეთის წყალობით, და ამიტომ, იმედია, ჩვენც მოგვეცემა და გთხოვთ უმორჩილესად მისცეთ ადგილი ამ ჩვენს პატარა შენიშვნას ერთ-ერთს «დროების» №-ში.

Ჩვენ, ლანჩხუთელი მოვაჭრენი, დიდად შევიწროებული გახლავართ ჩვენის სტანციის უფროსის წყალობით, ისე რომ, უნდა სიმართლე მოგახსენოთ, ვნატრობთ იმ წარსულ დროს, როცა სტანცია არა გვქონდა და ჩვენი ხორაგეულობა წყლით მიგვქონ-მოგვქონდა. Პირველად რომ მობრძანდა ჩვენი სტანციის უფროსი, ბ. დ. გ.; გვიხაროდა, ჩვენი მამულის შვილია და ჩვენს დაჩაგვრას არ მოინდომებსო, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მოვტყუვდით. Ჯერ იყო და მწოხელად თავისი დისწული მოიყვანა, რომლის უწესობაზედ წინადაც იყო ლაპარაკი «დროებაში».

Ბატონო! იმის დროს და ეხლაც ჩვენი საქონელი (მომეტებულად სიმინდი) სტანციაზედ ეყარა და სტ. უფროსის თხის ჯოგი შეექცეოდა. Უკაცრავად კითხვისათვის და ნეტავი ვიცოდეთ, თხების დაკავების ნება არის სტანციაზედ? Მთელი ზაფხული ჩვენი სიმინდით გამოიკვებნენ სტანციის თხები და ერთი დაუკბილავი ტომარა არ წაგვიღია სტანციიდგან, ერთმა ჩვენთაგანმა გაჭირვებამ, კ. გ—ძემ უთხრა უფროსის ცოლს, თხებმა დაგვაქციეს, და მეტი ღონე არ არის, ერთი უნდა დავკლათო. Პასუხად უფროსის ცოლმა უბძანა: «იმის დაკვლამდი, შენ დაიკვლებიო». Რაღა უნდა ეთქვა, დაღუნა თავი და დაბრუნდა. Მოთმინებიდამ რომ გამოვედით, უფროსის დისწულის ამბავი «დროებაში» გამოვაცხადეთ. Დაიცა, თქვენი მტერი, ბ—ნო რედაქტორო! Წაიკითხა თუ არა უფროსმა თავის დისწულზე დაწერილი შენიშვნა, რასაკვირველია, მაშინათვე გადაუყვანინა სხვა სტანციაზედ და ჩვენ კი დაგვემუქრნა, რომ «არ გაიტანეთ ჩემი დისწული, მაგრამ ნახავთ, რომ ეხლა მთლად მოუსპობ მწოხელის ადგილსაო», და კიდევაც მოგვისპო — მიიწერა, რომ საჭირო არ არისო.

Ახლავან თუ კი არის მწოხელი, ჩვენი ლანჩხუთის სტანცია რა სხვაზედ ნაკლები გახლავთ ამ ბათუმის მაზრაში. Ეს კიდევ არაფერი, თვითონაც გადაგვემტერა ისე, რომ ვაგონებს თავის დროზედ არ გვაძლევს, საქონელი თუ მოგვივიდა, მთელი დღე უნდა ვუცადოთ, უფროსს სძინავს, ჩაის მიირთმევს, დღეს კვირა არისო და სხვანი... Ჩვენ, ლანჩხუთელები, ერთ არ გახლავართ, ბ. კ. რაკი თქვენ ჩვენისთანა მწვრილ ხალხთან არ გინდათ საქმე დაიჭიროთ, სხვა ადგილი რომ მონახოთ, ის ემჯობინება თქვენთვისაც და ჩვენთვისაც.

ლანჩხუთელი ვაჭრები *).

დ. ლანჩხუთი.
17 ნოემბერს.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

— Სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარუდგენია სახელმწიფო რჩევაში განსახილველად ფრიად საინტერესო პროექტი იმის შესახებ, რომ რაც იმპერიაში ქველ-მოქმედნი საზოგადოებანი არიან, ყველას სუბსიდიები დაენიშნოთ წელიწადში 2000 მანეთიდამ 3000 მანეთამდინ. Იწერებიან, რომ სახელმწიფო რჩე-

*) ამ წერილზედ რვა კაცს უწერია ხელი. რედ.

---

თავის სახლში ვერ შეინახავდა და მთხოვა ის წერილები დამებრუნებინა... როდესაც იგი ლაპარაკობდა, ვიგრძენ, რომ თავით ფეხამდის საშინელმა ჟრუანტელმა გამიარა. Ბულცივად ვკითხე ეამბნა ჩემთვის იმ წერილების შინაარსი. Ჩემს კითხვაზედ გრაფინია წამოხტა ზეზედ და გაჯავრებით მითხრა:

— Ბატონო! შენი ცოლი შენზედ დიდსულოვანი ყოფილა; როდესაც მან მიიღო ჩემი წერილები, მათი შინაარსი ჩემთვის არ გამოუკითხავს. Იმან პირობაც მომცა, რომ მათ არც კი დაუხედამო, და მე დარწმუნებული ვარ, რომ არ დაუხედავს. Იმას კეთილშობილი გული ჰქონდა და არასდროს მოცემულს სიტყვას არ გასტეხავდა.

—Კარგი,—მივუგე მე,—მაგრამ როგორ ვიცნო ის წერილები?

— Იგინი ვარდისფერი ლენტით არიან ერთად შეკრულნი.

Მე ავიღე ჩემი ცოლის გასაღებები და დავიწყე წერილების ძებნა, თუმცა კარგად ვიცოდი, სადაც ეწყვნენ.

— Ესენი არიან? ვკითხე გრაფინიას და მივეცი წერილები.

— Დიაღ, დიაღ, ეგენი არიან! ხედავ ჩემივე ლენტით არიან შეკრულნი. Შენი ცოლი მათ არასდროს არ მიჰკარებია.

Მე ვერ გავბედე გრაფინიასთვის შემეხედნა. Მეშინოდა ჩემს თვალებში არ ამოეკითხნა, რომ მე ისინი გავხსენ.

Მე საჩქაროდ გამოვეთხოვე გრაფინიას. Იგი ჩაჯდა კარეტაში და წავიდა. Საწყალი ქალი, მართალს ამბობდა. Იმის ქმარი გარყვნილი და ბრაზიანი იყო. Მე რომ იმის ქმარს ვგვანებოდი, მაშინ იმისთანა ცოლის ღირსი ვიქნებოდი, როგორიც გრაფინია იყო. Ჩემს ცოლს კი წმინდა სული და ანგელოზებრივი გული ჰქონდა. Მას უყვარდა თავის ქმარი მაშინაც, როდესაც მან იგი მოჰკლა...

Მე არ ვიცი, შემდეგ რა მოხდა ჩემს თავზედ. Მე მხოლოდ მახსოვს, რომ უეცრად ჩემი ცოლის საფლავის წინ ვიდექ. Მე იმდენად არ ვიყავ შემლილი, რომ იმის გაცოცხლება განმეზრახა, მაგრამ გონება კი იმდენად დავკარგე, რომ საფლავს დავუწყე ლაპარაკი. Მე მეგონა, რომ იგი გაიგონებდა ჩემს ლაპარაკს.

— Შენ მე ცოცხალსაც გიყვარდი და მკვდარსაც გიყვარვარ; გთხოვ საიქიოდამ გადმიხედო ამ სოფლად, იმ სოფლისათვის ნუ ეადასდებ. Დამტანჯე ეხლავე, მაწვალე, მომკალი, ჩემს სიკვდილს ნუ მოელოდები.

Ასე ველაპარაკებოდი გაციებულს საფლავს. Უეცრად დამეძინა, ანუ უკეთ ვსთქვა, ცნობა დავკარგე; მხოლოდ მახსოვს, რომ რაღასაც ვბოდავდი. Მე ვნახე, როგორც აიხადა საფლავი და მიცვალებული მშვიდად წამოდგა. Მე უძრავად ვიწექ საფლავის წინ, ერთი ხელი ზედა მქონდა გადადებული და მეორე თავით მედო. Მიცვალებულის ტუჩები გაყვითლებული იყო, მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი მოჩანდა მათზედ. Მან წყნარად დაიხარა თავი, გაახილა თვალები, როგორც მაშინ, როდესაც მოვკალ, და მაკოცა მარჯვენა ხელზედ. Ის ერთი წვეთი სისხლი ჩემს ხელს მოეცხო. Შემდეგ მან ისევ დახუჭა თვალები, ჩაწვა თავის ცივს ლოგინში და კუბოს თავი დაიხურა...

Ამ დროს ტკივილები ამეშალნენ და გამამეღვიძა, როგორც მორიელისაგან ნაკბენს. Მე გამოვარდი გარედ, ისევ დილა იყო. Არაფერი არ შევნიშნივარ. Წვეთი სისხლი გაჰქრა, მაგრამ ის ალაგი, სადაც სისხლი მეცხო, საშინლად მეწოდა. Ტკივილი თან-დათან მემატებოდა. Მე არავისთვის არ მითქვამს ესა და ან ვინ დამიჯერებდა. Თქვენ იყავით მოწამე ჩემის ტანჯვისა და ისიც იცით, წამლებმა როგორ მიშველეს. Რავდენიც იარას თავი ეკვრებოდა, იმდენი ტკივილიც მიცხოველდებოდა, ეხლა მესამედ მიცხოველდება ტკივილი და მე მისი გაძლება აღარ შემიძლიან. Ერთი საათის უკან მკვდარი ვიქნები. Მე მხოლოდ ის აზრი მაწუგეშებს, რომ, რაკი ჩემმა ცოლმა სამაგიერო აქვე გადამიხადა, იმ სოფლად დანაშაულს მაპატიებს. Გმადლობთ თქვენის მზრუნველობისათვის. Სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდითო».

Რავდენიმე დღის შემდეგ გაზეთებში გამოცხადდა, რომ ერთმა მდიდარმა მამულის პატრონთაგანმა თავი მოიკლაო. Ერთნი თავის მოკვლას ცოლზედ მწუხარებას აბრალებდენ; მეორენი მოურჩენელს სენს. Უფრო ჭკვიანები ამბობდენ, რომ ის ეჭვით იტანჯებოდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამ უკეთ განიხილა და პრინციპიალურად დაამტკიცა კიდეც ეს პროექტიო.

— ქ. ტიხვინიდგან იწერებიან გაზ. «რუსკი კურიერ»-ში შემდეგს შემაძრწუნებელს ამბავს: «კუნკვიცის სასაფლაოზე, ტიხვინიდამ 50 ვერსზე, აღმაშფოთებელი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინეს ამ შემოდგომაზე. პოლიციამ დაატუსადა ტყის დარაჯი დ., რომელმაც ჩვენების ჩამორთმევის დროს აღიარა, რომ ის დიდიხანია თავის ქალი-შვილთან სცხოვრობს, როგორც ცოლთან; იმისგან ჰყოლია ოთხი შვილი, რომელთაც, რამწამსმე იბადებოდენ, მაშინვე ჰხოცდა თურმე და სხვა-და-სხვა ადგილას მარხავდა. უკანასკნელი ბავშვიც, დაბადებულა თუ არა, მაშინვე მოუკლავს და დაუმარხავს ერთს მივარდნილს ადგილას. იქ დაჰვიწყებია ბარი და როდესაც უკან მოდენილა, მაშინ მოჰგონებია; თანა ჰყოლია თავის პატარა შვილი და ეს გაუგზავნია უკან ბარის მოსატანად. როდესაც პატარა ბიჭმა ბარი იპოვნა და მამისკენ მოდიოდა თურმე, ამ დროს გზაზე შეხვდა მას ერთი პოლიციელი, რომელმაც ჰკითხა—საიდამ მოგაქვს ბარიო? ბიჭმა უპასუხა, რომ მამა ჩემმა ბავშვი დამარხა მიწაში, ბარი იქ დარჩა და მე გამგზავნა იმის წამოსაღებადო. პოლიციელმა მაშინათვე მოიწვია ხალხი, ამოათხრევინა საფლავი და მართლა შიგ ახლად ჩადებული ბავშვის გვამი ნახა. მაშინვე აცნობა პრისტავს, რომელმაც დაუწყო გამოკითხვა დამნაშავეს და ესაც ყველაფერში გულ-წრფელად გამოტყდა. ამის გამო მამაც და ქალიც საპყრობილეში გაგზავნეს.

— მმართებლობას საჭიროდ, უცნია ყოველგან გავრცელდეს ხვნა-თესვის მებაღობის და პირუტყვთ მოშენების ცოდნა; ამისათვის სახალხო განათლების სამინისტროში ერთს სამასწავლებლო ოლქების მზრუნველთაგანს შეუტანია წინადადება, რომ პირველ-დაწყებითს სკოლებში უფრო მოზდილს ბავშვებს პრაქტიკულად ასწავლიდენ იმას, რაც საჭიროა და გამოადგება იმ მხარეს, სადაც სკოლა იმყოფება. ამ აზრის შესასრულებლად განზრახვა აქვსთ დააწესონ, რომ სასოფლო სემინარიების შეგირდები სწავლობდენ, როგორც თეორეტიკულად, აგრეთვე პრაქტიკულადაც, ყოველგვარს მიწის წარმოებას, რომელიც გავრცელებულია იმ ადგილებში, სადაც ისინი მასწავლებლად უნდა გაიგზავნონ. რომ უფრო უკეთ შეისწავლონ ზემოხსენებული საგნები შეგირდებმა, ამისათვის საჭიროდ რაცხვენ, კურსის დასრულების შემდეგ, თითო წელიწადი კიდევ დაჰყონ სემინარიებში, და შემდეგ, როდესაც გაამწესებენ მასწავლებლებად სახალხო სკოლებში, მოზრდილ უმაწვილებს მიწის წარმოებაც ასწავლონ. ამისათვის მათ უნდა ეძლიოთ მომეტებული ჯამაგირი და ამასთანავე რამდენიმე პროცენტიც იმ შემოსავლისაგან, რა შემოსავალიც სკოლას ექნება ამ გვარი წარმოებისგან. ამას გარდა, სასარგებლოდ რაცხვენ ამისთანა მასწავლებლებს ზოგიერთა სამსახურის უფლებანიც მიენიჭოთ.

# განცხადებანი


## თბილისის ქალაქის გამგეობაში

30 ნოემბერს იქნება ვაჭრობა 220 ოთხ-კუთხი საჟენის ნამტვრევის ქვის (щебень) და 140 ოთხ-კუთხი საჟენი ქვიშის (гравій) იჯარით აღებაზე, და ამისათვის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რათა მსურველნი ამ იჯარის აღებისა გამოცხადდენ ვაჭრობაზე დანიშნულს დღეს, დილის 11 საათზე; კანდიცების ნახვა შეიძლება გამგეობაში ყოველ-დღე დილის ათი საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდინ. (3—1)

## თბილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1-ს დეკემბერს გამგეობის თანადასწრებით მოხდება ვაჭრობა ქალაქის ავლაბრის მიწის იჯარით გაცემაზე. ეს ადგილი არის 229 დესეტინა 1560 ოთხ-კუთხი საჟენი და შეიცავს ტყეს. მიიცემა იჯარით 1884 წლის 1 იანვრიდგან 1887 წლის 1-ს იანვრამდინ. (3—1)

## თბილისის სასულიერო სასწავლებელს

სურს მოიპოვოს ყიდვით სახლი ხალვათი ეზოთი და 15 გან 25-დის ოთახით, რომელთა რიცხვში არა ნაკლებ ექვსის ოთახისა უნდა იყოს დიდი მოსწავლეთა კლასებისათვის. წერილობითი ანუ სიტყვიერი განცხადებით გასყიდვაზე უნდა მიიქცნენ სასწავლებლის სადგომში ელიზავეტის ქუჩაზე, ალელოვის სახლში № 86. (4—3)

მე მივიღე კახური ღვინოები უმაღლესის თვისებისა ახალს გახსნილს პადვალში, გოლოვინის პროსპექტზე ექიმი როტინიანცის სახლებში. მაქვს იმედი თბილისის საზოგადოებისაგან მიაქციონ ყურადღება ჩემის ღვინოების ღირსებას, როგორც თეთრისა, აგრეთვე წითლის ღვინისა ძველის და ახალისა, რომელ ღვინოებსაც ვყიდი ფრიად ნაკლებ ფასათ. გარეშე მცხოვრებთა პირთათვის, რომელნიც მოითხოვენ ჩემგან ღვინოს დაეთმობათ მანეთზე ხუთი კაპეიკი.

თ. ჟიმშერ მიხეილის-ძე ჩოლაყაშვილი.

(3—3)

## კავკასიის აქეთა მხრის გზის გამგეობა.

იწვევს მათ, ვინც ისურვებს შეშის იჯარით აღებას ამ გზის სტანციებისთვის თბილისიდამ მოყოლებული ბაქომდენ. სთხოვენ, შეშის ფასებზე და იჯარის პირობებზე განცხადებანი გამოგზავნონ გზის გამგეობაში, მატერიალური სამსახურის უფროსის სახელზე. (6—6)

ამ ნომერში თორმეტი გვერდია

## ჟურნალი „ივერია"

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შავერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

(10—3) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

**Открывается подписка**

НА ГАЗЕТУ

# „КАВКАЗЪ"

**НА БУДУЩІЙ 1884 ГОДЪ.**

Газета будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ нынѣшнемъ 1883 году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

**Условія подписки:** съ доставкою въ Тифлисѣ: на годъ—11 руб. 50 к.; на полгода—6 р.; на три мѣсяца—3 р. 50 к.; на одинъ мѣсяцъ—1 руб. 50 коп.

Съ пересылкою иногороднымъ: на годъ—13 р.; на полгода—7 р.; на три мѣсяца—4 р.; на одинъ мѣсяцъ—1 р. 75 коп.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты «Кавказъ», на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5, Сараджева. Иногородные подписчики адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Кавказъ».

Иногородные могутъ подписываться лишь съ 1-го числа каждаго мѣсяца.

(3—1) *Редакторъ-издатель кн. Д. Г. Эристовъ.*

## СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА

ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

## ГАЗЕТА

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты – печатный листъ средняго формата; программа—общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—6)


*Дозв. цензур. Тифлисъ, 25 Ноября 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.